# საინფორმაციო ცნობა

## სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის შესახებ

მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობდა სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია.

1988 წლის 1 ივლისს დილის სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ა. გრომიკო.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. კ. მესიაცი — სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ა. მელნიკოვი — ვოლგის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საავტომობილო ქარხნის მექანიკურ-საამწყობო წარმოების, შასის საამქროს გამმართველი, კუიბიშევის ოლქი, თ. ტ. მორგუნი — სსრ კავშირის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, გ. ი. ბაკლანოვი — ჟურნალ „ზნამიას" მთავარი რედაქტორი, ბ. ვ. გრომოვი — არმიის სარდალი, ნ. კ. ემელინა — სმოლენსკის ტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორი, ბ. ი. ოლეინიკი — სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ მწერალთა კავშირის გამგეობათა მდივანი, ე. მ. პრიმაკოვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორი.

დღის სხდომაზე, რომელიც პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მ. ს. სოლომენცევის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდა ს. კ. გროსუ — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

კამათის დროს სიტყვა ითხოვა ი. თ. ხურკოვმა — მოსკოვის სპეციალურ შენადნობთა დასამუშავებელი ქარხნის ბრიგადირმა. მან გამოთქვა კრიტიკული შენიშვნები მთელ რიგ ორატორთა მიმართ, რომლებმაც მათთვის დათმობილი ტრიბუნა გამოიყენეს არა კონსტრუქციული გამოსვლებისათვის, არამედ შაბლონური თვითანგარიშებისათვის.

შემდეგ მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ამხანაგები: კ. მ. მახკამოვი — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ა. იაგოდინი — სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ბ. მ. ვოლოდინი — სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ნ. ელცინი — სსრ კავშირის სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი.

1 ივლისის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

დელეგატები განიხილავდნენ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანები".

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: გ. ი. უსმანოვი — სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ს. ა. შალაევი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე, ვ. ი. ვიალიასი — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ზ. პ. პუხოვა — საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე, ი. კ. ლიგაჩოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ი. ა. კვიცინსკი — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ს. ა. ნიაზოვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. გ. აფანასიევი — გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი.

ამით კამათი მოხსენების განხილვის გამო წყდება.

კამათის დამთავრების შემდეგ სიტყვა ითხოვეს დელეგატებმა: სვერდლოვსკის მ. ი. კალინინის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის პარტკომის მდივანმა ვ. ა. ვოლკოვმა, ქ. მოსკოვის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ნ. ს. ჩიკირიოვმა, სკკპ მოსკოვის პროლეტარის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ს. ლუკინმა.

მათ გამოთქვეს თავიანთი დამოკიდებულება ბ. ნ. ელცინისა და კონფერენციაზე მისი გამოსვლისადმი.

შემდეგ დელეგატები შეუდგნენ კონფერენციის რეზოლუციების პროექტების განხილვას:

„სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობისა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანების შესახებ" და „საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციისა და პოლიტიკური სისტემის რეფორმის შესახებ".

„ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ".

„ეროვნებათაშორისი ურთიერთობის შესახებ".

„საჯაროობის შესახებ".

„სამართლებრივი რეფორმის შესახებ".

კომისიებში განსახილველი დოკუმენტების გამო გამართულ დისკუსიებში გამოვიდა 150 კაცი.

ინფორმაციები კონფერენციის რეზოლუციების მოსამზადებელი კომისიების მუშაობის შესახებ გააკეთეს მათმა თავმჯდომარეებმა: მ. ს. გორბაჩოვმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ი. კ. ლიგაჩოვმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ნ. ი. რიჟკოვმა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ა. ნ. იაკოვლევმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ა. ა. გრომიკომ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ.

პროექტების ყოველმხრივი განხილვის შემდეგ რეზოლუციები მიიღეს შესწორებებითა და დამატებებით.

საბოლოო სიტყვა კონფერენციაზე წარმოთქვა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა. კონფერენციის პრეზიდიუმის დავალებით მ. ს. გორბაჩოვმა შეიტანა წინადადება მიიღონ რეზოლუცია „ქვეყნის პოლიტიკური სისტემის რეფორმის პრაქტიკული განხორციელებისათვის ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიების შესახებ". რეზოლუცია დელეგატებმა ერთხმად მიიღეს.

სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია დახურულად ცხადდება.

ჟღერს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი".


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 ივლისი, კვირა, 1988 წ.
№ 128 (9795) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან






სურათებზე: ჯორჯ ბერგერი ხსნის გამოფენას; საგამოფენო დარბაზში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## კასპაროვი ლიდერობას ინარჩუნებს

გარი კასპაროვი, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ტურში დამარცხდა ანატოლი კარპოვთან, კვლავ ლიდერობს მსოფლიო თასის გათამაშების მეორე ეტაპზე. შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე მას 10,5 ქულა აქვს — ერთით მეტი, ვიდრე ანატოლი კარპოვს.

მე-14 ტურში ლიუბოევიჩმა (იუგოსლავია) მოუგო ჰიუბნერს (გფრ), სოკოლოვ (სსრკ)—შორტის (დიდი ბრიტანეთი), იუსუპოვ — ელვესტის (ორივე — სსრკ), ნოგეირას (კუბა) — ბელიავსკის (სსრკ), რიბლი (უნგრეთი) — ანდერსონის (შვეცია), სპილმენ (დიდი ბრიტანეთი) — სპასკის (საფრანგეთი) პარტიები ყაიმით დამთავრდა. შეჯიბრება პარიზში მიმდინარეობს.

## მეორე მატჩიც მოიგეს

ამსტერდამი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის მეორე მატჩიც მოიგო. ამჯერად სძლია საფრანგეთის გუნდს — 111:71 (58:29). გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ ტარაკანოვი (19 ქულა) და ტიხონენკო (17 ქულა). მეოთხე ჯგუფში გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა: პოლონეთი — შვეიცარია — 85:73 (39:31).

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: პირველი ჯგუფი. ესპანეთი — ჰოლანდია 94:68 (51:40), შვეცია — ინგლისი 85:77 (39:39). აქ ლიდერობენ ესპანელები, რომლებმაც ოთხივე შეხვედრა მოიგეს.

მეორე ჯგუფი. იტალია — თურქეთი 91:74 (37:35), ფინეთი — დანია 80:75 (43:32). იტალიელებმაც 4 შეხვედრა მოიგეს.

მესამე ჯგუფი. იუგოსლავია — ისრაელი 103:72 (53:42), საბერძნეთი — ნორვეგია 100:81 (51:37). იუგოსლავიისა და საბერძნეთის გუნდებს ორ-ორი შესაძლებლიდან ორ-ორი ქულა აქვთ.

სსრ კავშირი — აშშ

## გიწვევთ „სპორტის სამყარო"

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლის შესასვლელთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იმპროვიზირებულ ვითარებაში გაიმართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფოტოგამოფენის საზეიმო გახსნის ცერემონიალი. „სპორტის სამყარო" — ასე ჰქვია ამ ორი ქვეყნის ფოტოჟურნალისტთა გამოფენას.

შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა და გამოფენის ლენტი გაჭრა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ამ ერთობლივი ღონისძიების ორგა-



ნიზაციის ინიციატორმა, ამერიკულ ჟურნალ „სპორტ ილუსტრეიტედის" თანამშრომელმა ჯორჯ ბერგერმა.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ გაიმართა ხალხური შემოქმედების კონცერტი.

გამოფენა 28 ივლისამდე გასტანს.

## ელვა-ინფორმაცია

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტულ თამაშებში (სარატოვი) წყალში მხტომელთა საქართველოს ნაკრებმა გუნდმა საბოლოოდ V ადგილი დაიკავა.

## აბიტურიენტი-88 ⊙ მიმდინარეობს ჩათვლები ფიზიკურ მომზადებაში





ეს ფოტორეპორტაჟი ფიზიკურ მომზადებაში ჩათვლების მიმდინარეობის შესახებ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან მოამზადა „ლელოს" კორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადა-88 ვის რა წვლილი შეაქვს?

# რას გვპირდება პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება?

**როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ჩვენმა გაზეთმა დაიწყო მასალების გამოქვეყნება იმის შესახებ თუ რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებებიდან ვის რა წვლილი შეაქვს ოლიმპიურ მოძრაობაში, ვინ არიან ამჟამად სეულის ოლიმპიადის კანდიდატები ქვეყნის ნაკრებ გუნდებში, როგორ ემზადებიან და რას უნდა ველოდეთ მათგან ოლიმპიადაზე. პირველ წერილში მკითხველის წინაშე თავისებური ანგარიშით სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო გამოვიდა. ახლა სიტყვას ვაძლევთ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ოთარ კალაძეს.**

— ადრინდელი სპორტული საზოგადოებები „სპარტაკი“, „განთიადი“, „კოლმეურნე“, „ბურევესტნიკი“, „ლოკომოტივი“, „ვოდნიკი“ და „ზენიტი“, იცით, ერთ საზოგადოებად — პროფკავშირთა სპორტულ საზოგადოებად გაერთიანდნენ. ჩვენი წარმომადგენლები 1952 წლიდან, საბჭოთა სპორტსმენებისთვის პირველი ოლიმპიური თამაშებიდან გამოდიან ამ ასპარეზობის სარბიელზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკისა და ქვეყნის სპორტულ მიღწევებში.

**◎ იქნებ კონკრეტულად გვითხრათ, რომელ წელს რამდენი წარმომადგენელი გამოდიოდა ოლიმპიურ თამაშებში და როგორია მათი მიღწევები?**

— 1952 წელს საქართველოს 14 წარგზავნილი შედიოდა ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში. აქედან ორი ჩვენი სპორტსმენი იყო, მოპოვებულია 7 ქულა, შემდეგ — 1956 წელს 10-დან 4 (19 ქულა), 1960 წელს 16-დან 6 (16), 1964 წელს 18-დან 9 (29,413), 1968 წელს 14-დან 6 (14), 1972 წელს 18-დან 8 (27,5), 1976 წელს 13-დან 4 (12), 1980 წელს 17-დან 8 (23,357). 1984 წელს, როგორც იცით, საბჭოთა სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში არ მონაწილეობდნენ, სამაგიეროდ ჩატარდა ასპარეზობა სახელწოდებით — „მეგობრობა-84“. აქ 12-დან 4 პროფკავშირების წარმომადგენელი იყო, მათ 10,36 ქულა დაიმსახურეს.

**◎ სადღეისოდ ალბათ ყველა სპორტული საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ კარგად იცის თითოეული რესპუბლიკიდან, აგრეთვე მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, რამდენი კანდიდატი ჰყავს ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდში...**

— ეს ჩვენთვისაც ცნობილია, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებიდან ნაკრებში შეყვანილია 43 სპორტსმენი, უკრაინიდან — 42, მოსკოვიდან — 23, ლენინგრადიდან — 18, ბელორუსიიდან — 13, საქართველოდან — 10, ყაზახეთიდან — 7, სომხეთიდან — 6, ლიტვიდან — 4, ლატვიიდან — 3, უზბეკეთიდან — 2 და ესტონეთიდან — 1, დანარჩენ რესპუბლიკებს ნაკრებში არც ერთი კანდიდატი არ ჰყავს.

**◎ ახლა თუ შეიძლება პერსონალურად წარმოგვიდგინოთ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატები ჩვენი რესპუბლიკიდან.**

— მხოლოდ რეალურ კანდიდატებზე შევჩერდები. ესენი არიან:

**გურამ გედეხაური** დაბადებულია 1963 წელს, კლასიკური ჭიდაობა. ამჟამად გდრ-ში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს, იქვე გამოდის მისი კონკურენტი ქვეყნის ნაკრებში მინსკელი ფედორენკო. ასე რომ, ეს ტურნირი ყველაფერს გადაწყვეტს. ნაკრების მწვრთნელები, ცხადია, ამ წონაში მედალს გეგმავენ.

**მაია აზარაშვილი** (1964), მძლეოსნობა. ამჟამად მოსკოვშია სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე. 4-7 ივლისს გამოვა ტალინში ქვეყნის ჩემპიონატში, შემდეგ კვლავ შეკრება მოსკოვსა და ვლადივოსტოკში, იქვე, ვლადივოსტოკში 13-14 სექტემბერს გათამაშდება სსრ კავშირის თასი. აზარაშვილს ესტაფეტაში III ადგილს უგეგმავენ.

**ხარლამ ხიმონია** (1956), ცხენოსნობა. შეკრებაზეა მოსკოვში, 5-10 ივლისს იქვე მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის თასის გათამაშებაში და საბოლოოდ გადაწყდება ნაკრების შემადგენლობის საკითხი. ცხენოსანთა გუნდს ოლიმპიადაზე VI ადგილი აქვს დაგეგმილი.

**ხრისტინა ფალახანიდი** (1970), სინქრონული ცურვა. ახლა შეკრებაზეა მოსკოვში. 19 ივლისიდან 2 აგვისტომდე შინ გაივლის მზადებას, გამოვა სსრ კავშირის ჩემპიონატში, რომელიც თბილისში ჩატარდება, საბოლოო შეკრება გათვალისწინებულია სოხუმში (ეშერაში) და მოსკოვში. ხრისტინას სოლო ვარჯიშში VI ადგილს ვუგეგმავთ.

**ლეილა მესხი** (1969), ჩოგბურთი. ამჟამად ემზადება თბილისში. შემდეგ გაემგზავრება იურმალაში. 13-25 ივლისს გამოვა ავსტრიაში შესარჩევ საერთაშორისო ტურნირში. ამ ასპარეზობის შედეგებით გადაწყდება ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრის საკითხი, წყვილთა თანრიგში მესხს VI ადგილს ვუგეგმავთ.

**ვლადიმერ გოგოლაძე** (1966), ტანვარჯიში. მინსკში შეკრების დამთავრების შემდეგ ჩავა მოსკოვში და იასპარეზებს სსრ კავშირის თასის გათამაშებაში, ეს შეჯიბრება გადაწყვეტს თუ ვინ მოხვდება ნაკრებ გუნდში. ტანმოვარჯიშეებს მწვრთნელები უგეგმავენ გუნდურ I ადგილს.

**კობა კურტანიძე** (1964), ძიუდო. კობამ მძიმე ოპერაცია გადაიტანა. ამჟამად ემზადება ქვეყნის ნაკრებთან ერთად. თუ იგი აღიდგენს ჯანმრთელობას და სპორტულ მონაცემებს, ნაკრებ გუნდში გარანტირებული ექნება ადგილი. ამ წონაში ნაკრების ხელმძღვანელებს მხოლოდ მაღალი ჯილდოს მოპოვება აქვთ ნავარაუდევი.

**გიორგი თენაძე** (1962), ძიუდო. გიორგიმ ამას წინათ თბილისის საერთაშორისო ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა, აქ მან თავისი ძირითადი კონკურენტებიც დაამარცხა და განიმტკიცა ადგილი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდში. თენაძეს ოქროს მედალს ვუგეგმავთ.

**ამირან ტოტიკაშვილი** (1969), ძიუდო. წელს ამ სპორტსმენმა მოიგო სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონატები, მართალია, დამარცხდა თბილისის საერთაშორისო ტურნირში, მაგრამ თავის წონაში მაინც რჩება ნაკრების ძირითად პრეტენდენტად. ჩვენ ამ ფალავანს ოლიმპიადაზე მედალს ვუგეგმავთ.

აქვე მინდა დავძინო, რომ ტოტიკაშვილი, თენაძე, კურტანიძე, წყალში მხტომელი გიორგი ჩოგოვაძე, ჩვენგან გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. ამიტომ ვერ დავეთანხმებით სპორტსაზოგადოება „დინამოს“ პოზიციას, რომ, მაგალითად, „ჩოგოვაძე მხოლოდ დინამოელია“. განა ოლიმპიელი 3-4 თვეში შეიძლება მომზადდეს? პარალელური ჩათვლის შესახებ არსებობს საკავშირო სპორტსახკომის შესაბამისი დადგენილება, რომლის საფუძველზე სპორტსაზოგადოება „დინამო“ მიიღებს პარალელურ ჩათვლას.

**◎ ოლიმპიელებთან მუშაობის ინდივიდუალური გეგმა როგორ სრულდება, რა სისტემით წარმართავთ მუშაობას?**

— თითოეული ოლიმპიელისთვის შემუშავებული ინდივიდუალური გეგმის შესრულებას უზრუნველყოფს მწვრთნელი და ჩვენი სპორტსაზოგადოების სპორტული კლუბი. ოლიმპიელებთან აგრეთვე მიმაგრებული არიან რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები. ინფორმაციებს გაწეული მუშაობის შესახებ კვირაში ერთხელ საწარმოო თათბირზე ვისმენთ. წელს, 22 აპრილს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე საგანგებოდ ვიმსჯელეთ ჩვენი სპორტსმენების წლის ყველაზე დიდი სპორტული ფორუმისათვის მზადების საკითხზე. მაისში კი სპორტსმენებს შეხვდა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. სირაძე. შეხვედრისას, ისევე როგორც პრეზიდიუმზე საკითხის განხილვისას, წამოიჭრა სპორტსმენთა როგორც პირადი, ისე საერთო ხასიათის მთელი რიგი საკითხები, რომელთა მოგვარებამ ხელი შეუწყო სასწავლო-სპორტული პროცესის გაუმჯობესებას, უფრო ეფექტური გახდა ოლიმპიელებთან ინდივიდუალური მუშაობა.

**ესაუბრა თენგიზ თომაშვილი.**

# დაველოდოთ ექვს აგვისტოს

## მონოლოგი ინტერვიუს ნაცვლად

**მართალია, საბჭოთა კავშირის მებაიდარეთა და კანოისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ვასილ კაველინი ენაწყლიანი მოსაუბრე გამოდგა და არც ის გვაგრძნობინა, მოუცლელი რომ იყო — მოგეხსენებათ, როგორ აფორიაქებს და აჩქარებს სპორტსმენებს შეკრების ბოლო დღე — მაგრამ მწვრთნელის ყურადღებისა და ტაქტის მიუხედავად ცაიტნოტი მაინც გვემუქრებოდა: ცოტაც და, ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის ტელეტრანსლაცია უნდა დაწყებულიყო. უხერხულობისაგან იმან გვიხსნა, რომ ნაკრების თავკაცმა შეხვედრისთანავე გამოგვიცხადა**

**ვხვდები, რაც გაინტერესებთ, ბევრი კითხვა-პასუხი არ დაგვჭირდება, თავად მოგახსენებთ ყველაფერსო. აი, ახე ჩავიწერეთ უფროსი მწვრთნელის ეს მონოლოგი, თუმცა, თავდაპირველად, საბაიდარო ნიჩბოსნობაში საკავშირო ნაკრები გუნდების გალის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრისკენ რომ მივეშურებოდით, ინტერვიუს მომზადება გვქონდა განზრახული.**



ნაძალადევ თავაზიანობად ნუ ჩამომართმევთ, ამ ბაზაზე საუბრით თუ დავიწყებ სათქმელს, ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ შეიძლება ვინმემ იფიქროს, ეს ხომ სიტუაციითაა ნაკარნახევი და ზრდილობის გულისთვის უფრო კეთდებაო. თქვენი გაზეთის მკითხველებმა, რომელთა უმრავლესობამ იქნებ არ იცის, რა სამსახურს უწევს მებაიდარეთა და კანოისტთა საკავშირო ნაკრებებს ეს სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი, თავად განსაჯონ: მართალია, ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ნიჩბოსნები სხვაგანაც იკრიბებიან, მაგალითად წახკაძორსა და რიაზანის ოლქში, მაგრამ საბჭოთა კავშირის საუკეთესო ნიჩბოსანთა შეკრებისა და მზადების მთავარი კერა ეს ცენტრი გახლავთ. სექტემბრიდან ზაფხულის დამდეგამდე, ზაფხული კი, მოგეხსენებათ, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების პერიოდია, აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა — როცა უნდა მობრძანდეთ, ყოველთვის შეხვდებით უფროსი თუ უმცროსი ასაკის ნიჩბოსანთა საკავშირო ნაკრებების წევრებს. საბაიდარო ნიჩბოსნობაში ზამთრის საკავშირო ჩემპიონატების ჩატარების ტრადიციასაც აქ ჩაეყარა საფუძველი და, ჯერჯერობით, ეს შეჯიბრება მხოლოდ აქ ტარდება. გალის ცენტრის ასეთი ინტენსიური დატვირთვის მიზეზი ძნელი გამოსაცნობი არ გახლავთ — ცხადია, კლიმატი გვიზიდავს. ერთი სიტყვით, განურჩევლად იმისა, სად შევხვედრილვართ, რაზე და რამდენს ვისაუბრებდით, საბაიდარო ნიჩბოსნობაში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების გალის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრს აუცილებლად ვახსენებდით. ეს ბაზა საგანგებოდ ნიჩბოსნებისთვის არ აშენებულა. თავდაპირველად აქ ენერგეტიკოსთა დროებითი საცხოვრებელი იდგა. მერე, როცა ისინი საქმეს მორჩნენ, ჩვენ დავეპატრონეთ და ახლა საკავშირო სპორტსახკომის გამგებლობაშია. ბევრი რამ გაკეთდა საიმისოდ, აქაურობა ნიჩბოსნობას რომ „მორგებოდა“ — კომპლექსის საყოფაცხოვრებო სტრუქტურა უფრო ავტონომიური და სპეციალიზებული გახდა — მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. უახლოეს მომავალში დაიწყება ამ ბაზის მნიშვნელოვანი გაფართოებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები. როგორც ხედავთ, ნიჩბოსანთა აქ „დასახლება“, ბაზის მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი და მისი გაფართოების პერსპექტივები ცხოვრებითაა ნაკარნახევი. ცხოვრებავე გვკარნახობს იმას, რომ ამით არ შემოვიფარგლოთ და ჩვენი ნიჩბოსნობის განვითარების სხვა გზები და რეზერვები ვეძებოთ. ამ თვალსაზრისით, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ყაიდის სანიჩბოსნო ბაზების ქსელის გაფართოებას, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო კი ასეთი ბაზები, უპირველეს ყოვლისა, შავი ზღვის სანაპიროზე უნდა გაშენდეს. საამისო პირობები არის: სოხუმის მახლობლად, მაგალითად, შეიძლება აიგოს ისეთი საწყლოსნო-სანიჩბოსნო კომპლექსი, რომელიც საერთაშორისო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. იგივეს თქმა შეიძლება იმ ადგილზე, რომელსაც სკურჩას ეძახიან. ამ ტერიტორიების სპორტული განაშენიანება მრავალმხრივ სასარგებლო საქმეა, ვინაიდან, ჩემი აზრით, აქ ერთმანეთს ერწყმის თქვენი რესპუბლიკის ნიჩბოსანთა და საკავშირო ნაკრების ინტერესები. ვინ არ იცის, როგორი მდიდარი ტრადიციები ჰქონდა სამოციანი წლების საქართველოს მებაიდარეთა და კანოისტთა პლეადას. მათი მიღწევების ნუსხას შემდგომ ათწლეულში, ფაქტობრივად, არა მიმატებია რა, დღეს კი აშკარაა, რომ ვითარება უმჯობესდება — საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებშია კახა ლომიშვილი, მეორეში — ედუარდ ქაშაკაშვილი. ნაკრების მწვრთნელებს ჩანიშნული აქვთ რამდენიმე პერსპექტიული ჭაბუკიც გვარიც. ამ წარმატებებს, ცხადია, გაღრმავება და განმტკიცება სჭირდება, რაც ნორმალური სანიჩბოსნო ბაზების მომრავლების გარეშე შეუძლებელია. საქართველოში ამ თვალსაზრისითაც იგრძნობა გამოცოცხლება — ვგულისხმობ ფოთში აშენებულ საქართველოს სპორტსახკომის სანიჩბოსნო ბაზას. თუ ამ ობიექტს სხვა, წეღან რომ ვახსენეთ, იმ ადგილებში აშენებული ბაზებიც მიემატა, საერთო საქმე საგრძნობლად წაიწევს წინ. რესპუბლიკისა და საკავშირო ნაკრებ გუნდებს მზადების გაცილებით უკეთესი პირობები და, რაც მთავარია, ერთობლივი წვრთნის საშუალება ექნებათ. დიდი მიხვედრა არ უნდა, როგორ წაადგებათ საქართველოს ნიჩბოსნებს ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენების მხარდამხარ ვარჯიში — რესპუბლიკის ნაკრების წევრთა ოსტატობა უფრო სწრაფად დაიხვეწება, გამდიდრდება მწვრთნელთა გამოცდილება, ამაღლდება მათი პროფესიული მომზადების დონე. სამხრეთში სანიჩბოსნო ბაზების ქსელის გაფართოებას იმიტომაც ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ დღეს მსოფლიოს უძლიერესი ნიჩბოსნები მთელი წლის განმავლობაში ინტენსიურად ვარჯიშობენ. „სამხრეთში გადაფრენის“ გარეშე ამას, ცხადია, ვერ მოახერხებენ — ჩრდილოელთა მზადების ციკლი აუცილებლად ითვალისწინებს სამხრეთის ქვეყნებში შეკრებას. რა დასამალია, უცხოელებს არჩევანის ჩვენზე მეტი საშუალება აქვთ, ჩვენი „მიგრაციის“ საზღვრები კი უფრო შეზღუდულია, გალის სასწავლო ცენტრი ხომ, ფაქტობრივად, ჩვენი ერთადერთი თბილი თავშესაფარია. სწორედ ამიტომ, მაქსიმალურად და უფრო რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი სამხრეთის რეგიონები. ამას გვაიძულებს თუნდაც ის, რომ საერთაშორისო სარბიელზე კონკურენცია ერთობ გამძაფრდა — საბაიდარო ნიჩბოსნობაში ტრადიციულად ძლიერ ქვეყნებს მხარში ამოუდგნენ ახალზელანდიელები, ფრანგები, ამერიკელები და სხვები. დღეს, ფაქტობრივად, შეუძლებელია გამოიცნო, ვინ გაიმარჯვებს ამა თუ იმ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში. კონკურენციის გამძაფრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კი ის გახლავთ, რომ უცხოეთში მკვეთრად გაუმჯობესდა ნიჩბოსანთა მომზადების ხარისხი. ჩვენი მეტოქეები დროს ერთი წუთითაც არ ჩამორჩებიან, სასწავლო-საწვრთნელ პროცესს არეგულირებენ კომპიუტერებით, მათ სამსახურშია ულტრათანამედროვე სამედიცინო-ბიოლოგიური აპარატურა. კვება რომ კვებაა, იმასაც გამომთვლელი მანქანები აწესრიგებენ. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ისინი ჩვენზე რაციონალურად ირჯებიან — მოგეხსენებათ, მასობრიობით თავს არ იწუხებენ, რამდენიმე ეკიპაჟს შეარჩევენ და უმაღლეს დონეზე ამზადებენ. ჩვენ კი, სამწუხაროდ, ჯერაც ბევრ, ერთი შეხედვით, უბრალო და ჰაერივით აუცილებელ რამეზე ვოცნებობთ, იმდენი დაბრკოლების გადალახვა გვიწევს, მწვრთნელებისა და სპორტსმენების უსაზღვრო ენთუზიაზმი რომ არა, ვინ იცის როგორ გვექნებოდა საქმე. ამ წლობით გადაუჭრელი პრობლემის „წყალობითაა“, რომ ბოლომდე ვერ ვიყენებთ საბჭოთა სპორტის ისეთ ფენომენს, როგორიცაა მასობრიობა, ამიტომაა ასეთი დიდი სხვაობა ნაკრების წევრთა და უახლოესი რეზერვის მომზადების დონესა და ხარისხში.

ასეა თუ ისე, დადგა დრო, როცა ამ საკითხებზე ფიქრმა მეორე პლანზე გადაინაცვლა — ოლიმპიადა კარს მოგვადგა, რა დროს ჭმუნვაა, ყველანი სეულის სტარტებზე ვფიქრობთ და საბრძოლველად ვემზადებით. ბრძოლა კი, იცოცხლეთ, ფიცხელი გველის — ჩვენ ხომ ოთხი მედალი დაგვიგეგმეს. კანოისტების იმედი უფრო გვაქვს, ვიდრე მებაიდარეებისა. ბაიდარების ეკიპაჟთა დაკომპლექტების საკითხიც ბოლომდე ჯერ არ გარკვეულა. თქვენი მოთმინებით ბოროტად აღარ ვისარგებლებ და კახა ლომიშვილის ოლიმპიადაზე გამგზავრების შანსებზე მოგახსენებთ: **ლომიშვილს, მის მეწყვილე ალექსანდრ მიზგინს და მათ მთავარ კონკურენტს, ნაგაევგალკოვის წყვილს, ჯერჯერობით, თანაბარი შანსები აქვთ. ყველაფერი გაირკვევა ექვს აგვისტოს, საკავშირო ჩემპიონატის ბოლო დღეს. ოლიმპიელთა ვინაობას სწორედ მაშინ შეიტყობთ.** მართალია, ათას მეტრზე ორადგილიანი ბაიდარებით მოასპარეზე ამ წყვილებს მანამდეც მოუწევთ შერკინება უცხოეთში ჩატარებულ რეგატაში, მაგრამ მთავარი მაინც საკავშირო ჩემპიონატი და მისი შედეგებია. ასე რომ, წინასწარ ვერაფერს გეტყვით. დაველოდოთ ექვს აგვისტოს.

**თამაზ მიბრიაული.**

**„ლელოს“ სპეც. კორ.**

გალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მე-13 ტურში მხოლოდ 4 მატჩი გაიმართა, დანარჩენი შეხვედრები, როგორც გამოცხადებული იყო, გადაიდო.

**„დინამო" მნ. — „დნეპრი" 0:1 (0:0).** ბურთი 74-ე წუთზე გაიტანა შახოვმა.

გააფრთხილეს ვიშნევსკი, ევტუშენკო („დნეპრი"), ზიგმანტოვიჩი („დინამო").

დუბლიორები — 1:0.

**„ლოკომოტივი" — „ჩერნომორეცი" 2:0 (1:0).** გოლები: აბრამზონი, რუსიაევი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი, ა. კოკაია, მ. ჰელიძე (თბილისი).

დუბლიორები — 0:4.

**„არარატი" — „ტორპედო" 0:2 (0:1).** გოლები: რუდაკოვი, პისარევი.

გააფრთხილეს ტორპედოელი შირინბეკოვი.

დუბლიორები — 0:2.

**„მეტალისტი" — „ნეფთჩი" 1:0 (1:0).** გოლი: იაკუბოვსკი.

დუბლიორები — 1:1.

◉ **მე-13** ტურის ოთხ მატჩს მინსკის, მოსკოვის, ერევნისა და ხარკოვის სტადიონებზე დაესწრო 44 ათასი მაყურებელი.

◉ **ტურის** მატჩებში სულ 6 ბურთი გავიდა, რომლებიც თანაბრად მოდის მასპინძლებზე და სტუმრებზე — 3-3.

◉ **ჩემპიონატის** დაწყებიდან 102 ბურთია გატანილი, საშუალო შედეგიანობა ყოველ მატჩში 2,11 გოლს უდრის.

◉ **ბომბარდირთა** შორის კვლავინდებურად წინ არიან თბილისელი გ. გურული, მოსკოველი ა. ბოროდიუკი და კიეველი ო. პროტასოვი — 8-8 (ყველა — „დინამო").

◉ **თბილისის** „დინამო" საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩს 7 ივლისს გაიმართავს მოსკოვში „ტორპედოსთან".

◉ **უმაღლესი** ლიგის ერთპიროვნული აუტსაიდერის როლში კვლავინდებურად ალმა-ათის „კაირატია", რომელმაც 13 მატჩში მხოლოდ 5 ქულა დააგროვა. საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა ხარკოვის „მეტალისტმა", რომელმაც ბოლო 2 მატჩში 4 ქულის აღება შეძლო. ჯერჯერობით სახიფათო ზონაში იმყოფებიან მინსკის „დინამო" (9 ქულა), თბილისის „დინამო" (8 ქულა), დონეცკის „შახტიორი" (8 ქულა) და ბაქოს „ნეფთჩი" (7 ქულა).

### გათამაშების ცხრილი

#### დუბლიორთა შემადგენლობა

მდგომარეობა 8 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" მ. | 12 | 8 | 2 | 2 | 21-9 | 18 |
| „ჩერნომორ." | 13 | 7 | 4 | 2 | 17-7 | 18 |
| „დინამო" კ. | 11 | 7 | 2 | 2 | 20-11 | 16 |
| „სპარტაკი" | 10 | 7 | 1 | 2 | 22-9 | 15 |
| „ტორპედო" | 13 | 7 | 1 | 5 | 19-18 | 15 |
| „დინამო" თბ. | 12 | 6 | 3 | 3 | 15-13 | 15 |
| „ჟალგირისი" | 11 | 6 | 2 | 3 | 26-9 | 14 |
| „ლოკომოტ." | 11 | 6 | 2 | 3 | 19-9 | 14 |
| „ზენიტი" | 12 | 5 | 2 | 5 | 13-16 | 12 |
| „მეტალის." | 13 | 3 | 4 | 6 | 14-16 | 10 |
| „არარატი" | 12 | 3 | 3 | 6 | 16-23 | 9 |
| „კაირატი" | 13 | 3 | 2 | 8 | 11-27 | 8 |
| „დნეპრი" | 12 | 3 | 1 | 8 | 10-20 | 7 |
| „დინამო" მნ. | 12 | 3 | 0 | 9 | 9-23 | 6 |
| „შახტიორი" | 11 | 2 | 2 | 7 | 12-24 | 6 |
| „ნეფთჩი" | 10 | 1 | 3 | 6 | 2-13 | 5 |

## დინამოელთა ამხანაგური მატჩი

**სსრ კავშირის** ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთათვის იძულებითი შესვენება დაიწყო. მათი მორიგი კალენდარული მატჩი კიეველ თანაკლუბელებთან გადატანილია 8 სექტემბრისათვის ქვეყნის ნაკრები გუნდის ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის გამო.

„ფანჯრის" შევსებისა და სათამაშო ტონუსის შენარჩუნებისათვის თბილისელებს მოუწიათ გამოენახათ სპარინგ-პარტნიორები. ასეთი სპარინგ-პარტნიორები დინამოელთათვის გახდნენ მათი ზუგდიდელი თანაკლუბელები, რომლებიც რესპუბლიკის პირველობაზე ასპარეზობენ.

ამხანაგური მატჩი გაიმართა დიღმის სასწავლო-საწვრთნელ ბაზაში. მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1 (1:0).

ანგარიში შეხვედრის 42-ე წუთზე გახსნა მესხმა. მეორე ტაიმის დასაწყისში ზუგდიდელმა თუთბერიძემ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით აღადგინა წონასწორობა. შემდეგ კი მე-60 და 85-ე წუთებზე თავი გამოიჩინეს თბილისელებმა კორღალიძემ და გურულმა.

თბილისის „დინამომ" ეს შეხვედრა ასეთი შემადგენლობით გამართა: გაბელია (ჭანტურია, 46), სვანაძე (ფირცხალავა, 46), გ. ჯიშკარიანი, ჰედია, არზიანი, რევიშვილი, ცვეიბა, კორღალიძე (ტყებუჩავა, 64) ცაავა (აფციაური, 65), გურული, მესხი.

**(საქინფორმი).**



## შენარჩუნებული მუნდირი

### ანუ ჩემპიონთა იმედები

**საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა მონაწილეობით გამართული ყველა რანგის ასპარეზობა ცხოველ ინტერესს იწვევს. დღეს, როდესაც ჩვენი ფეხბურთი ხანგრძლივ კრიზისს განიცდის, სპეციალისტებიცა და გულშემატკივრებიც ხსნას ბავშვთა ფეხბურთში ეძებენ: ეს ის რეზერვია, რომელიც უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების საიმედო ცვლა უნდა გახდეს. სწორედ ასეთი იმედის მომცემი ნაკრები მიემგზავრება ქ. ძერჟინსკში (გორკის ოლქი) ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. გვესაუბრება ნაკრების მთავარი მწვრთნელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ნიკოლოზ ამირეჯიბი.**

ჭაბუკთა II საკავშირო თამაშების პროგრამით ფეხბურთში 1972-1973 წლებში დაბადებულნი იასპარეზებენ. ქვეჯგუფში ჩვენთან ერთად მოხვდნენ ლენინგრადის, ყაზახეთის, ესტონეთისა და თურქმენეთის გუნდები. დასახელებულ კოლექტივებს ჩვენი ფეხბურთელები ზუსტად ამ თანმიმდევრობით შეხვდებიან. ზონაში გამარჯვებული ორი გუნდი ფინალურ ასპარეზობაში მიიღებს მონაწილეობას. ქვეჯგუფში შეხვედრები 7 ივლისს დაიწყება, ფინალური დასკვნითი ეტაპი კი 24 ივლისს გაიმართება გორკში.

ჩვენი გუნდის სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებში გამარჯვებულია. ეს, რაღა თქმა უნდა, მეტს გვავალებს — ჩემპიონთან ყველა გაორკეცებული ენერგიით თამაშობს. მზადების დროს ყველაფერი ვიღონეთ, რათა ფეხბურთელებს გადაელახათ ფსიქოლოგიური ბარიერი, რომელიც ჩემპიონობას ახლავს თან. წლევანდელი ნაკრების კანდიდატთაგან ხომ 14 ფეხბურთელი სპორტსკოლების მოსწავლეთა თამაშების ლაურეატია.

გუნდმა მზადება დეკემბრიდან დაიწყო. პირველ საწვრთნელ შეკრებას ტაშკენტშივე მოჰყვა ტურნირი, რომელშიც ჩვენმა ფეხბურთელებმა 16 კოლექტივს შორის მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს. იანვარში გუნდი ბაკურიანში გაემგზავრა, ორკვირიანი საწვრთნელი ციკლი მთლიანად ფიზიკურ მომზადებას დაეთმო. თებერვალში ათდღიანი შეკრება გავმართეთ თბილისში. აქვე ჩავატარეთ რამდენიმე ამხანაგური მატჩი. ამ შეკრების მთავარი მიზანი გუნდის ძირითადი ბირთვის დადგენა და ცალკეული რგოლების შეთამაშება იყო. მარტში მონაწილეობა მივიღეთ გ. ანთაძის სახელობის საკავშირო მემორიალში. ამ წარმომადგენლობით ტურნირში, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა, ათ კოლექტივს შორის მეორე ადგილი დავიკავეთ. სულ ახლახან ჩვენი გუნდი ხობში გადიოდა მზადებას. ნაკრები 6 ივლისამდე მცხეთაში ბოლო საწვრთნელ შეკრებაზეა და სწორედ აქ გაირკვევა იმ 17 ფეხბურთელის ვინაობა, რომელთაც ძერჟინსკში ჩვენი რესპუბლიკის ღირსება უნდა დაიცვან.

ჩემთან ერთად ნაკრებთან მუშაობენ მწვრთნელები ვალერი ნადირაძე, ლერი ვერულიძე და ნესტორ მუმლაძე. გუნდის ძირითად ბირთვს თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის (11 კანდიდატი) და თბილისის „ნორჩი დინამოელის" (6 კანდიდატი) მოთამაშეები შეადგენენ. ამასთან, მოვიწვიეთ ფეხბურთელები ქუთაისიდან, რუსთავიდან, ბათუმიდან, გაგრიდან და ხობიდან. როგორც უკვე მოგახსენეთ, ჭაბუკთა თამაშებზე 17 სპორტსმენი გაემგზავრება, დღეს კი კანდიდატთა რიცხვი ოცდახუთს აღწევს. თამაშებზე გამოვლენ ის ფეხბურთელები, რომლებიც თავიდანვე კეთილსინდისიერად ეკიდებოდნენ ყველა ვარჯიშსა და თამაშს, ვისაც ყველაფერი შეუძლია გაიღოს თითოეული მატჩისთვის, ვინც ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მზად არის ამ დაძაბული ტურნირისთვის და, რაღა თქმა უნდა, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს ფეხბურთი. სხვაგვარად, რა პერსპექტიულიც უნდა იყოს მოზარდი, ნაკრებ გუნდში ვერ მოხვდება.

რვათვიან საწვრთნელ ციკლში, რომელიც ჩვენმა გუნდმა გაიარა, ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა ყოველმხრივი თანადგომა და მხარდაჭერა, სხვანაირად გუნდს გაუძნელდებოდა მზადება. ამ ხნის მანძილზე პრობლემებიც საკმაოდ გვქონდა, თუნდაც, ის, რომ გუნდმა მთელი შეკრება თავისი ლიდერის გ. ნემსაძის გარეშე ჩაატარა. ულიდეროდ თამაში რესპუბლიკის საფეხბურთო კოლექტივებს საგრძნობლად უჭირთ. ამის ნათელი მაგალითია ჩვენი პირველი გუნდის თბილისის „დინამოს" დღევანდელი თამაშიც. ნემსაძე ამ პერიოდში „დინამოს" დუბლიორთა შემადგენლობაში იყო მიწვეული და თხოვნა, რომ მზადების პერიოდში ეს ფეხბურთელი ჩვენს გუნდში ყოფილიყო, დინამოელთა მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ყურად არ იღო. ახლანდელმა ხელმძღვანელობამ კი ნება დართო ფეხბურთელს თამაშებამდე დარჩენილი დრო ჩვენს გუნდში გაატაროს.

მზადების პროგრამით დაგეგმილი გვაქვს რამდენიმე ამხანაგური მატჩი რესპუბლიკის გუნდებთან. შევხვდებით თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდსაც. ეს იქნება გენერალური რეპეტიცია ჭაბუკთა II საკავშირო თამაშების წინ. ვიმედოვნებთ, „დინამოს" ხელმძღვანელობა საჭირო კონსულტაციას გაგვიწევს ბევრ საკითხში.

ახლა, რაც შეეხება სავარაუდო შედეგს. ცხადია, ვეცდებით საპრიზო ადგილი მოვიპოვოთ, გუნდს ეს შეუძლია და ძალ-ღონეს არ დავიშურებთ მიზნის მისაღწევად.

ბოლოს გაგაცნობთ იმ მწვრთნელებსაც, რომელთა დახმარებასაც მთელი მზადების პერიოდში ვგრძნობდით — გურამ გვანცელაძე (35-ე სკოლა), ალექსანდრე ვაშაკიძე, სერგო აპრესიანი („ნორჩი დინამოელი"), გია ჯორბენაძე (ბათუმი), გიორგი იაშვილი (გაგრა), თენგიზ ხელიძე (ქუთაისი), ლევან ლემონჯავა და ფრიდონ გოცირიძე (ხობი). შეკრებიდან თავისუფალ დროს ისინი მონდომებით მუშაობდნენ ნაკრების კანდიდატებთან.

**ესაუბრა ზაზა კახაძე.**

## ევროპის ჩემპიონატის მქო

**შედგა** კონტინენტის ნაკრები იმ ფეხბურთელთაგან, რომლებმაც ახლახან დამთავრებულ ჩემპიონატში ტრავმების გამო ან სხვა მიზეზებით მონაწილეობა ვერ მიიღეს: შუმახერი (გფრ), ჩენდო (ესპანეთი), სილოი (ჰოლანდია), ჰიორსტერი (გფრ, არ აურიოთ ფიორსტერში), ბუჩერი (ინგლისი), ბანი (იტალია), ბრეიდი (ირლანდია), იაკოვენკო (სსრ კავშირი), არნესენი (დანია), ალოფსი (გფრ), ლუნდე (დანია).

**საბჭოთა** და იტალიის ფეხბურთელთა ნახევარფინალური მატჩის შედეგს ერთმა გაზეთმა სათაურში კულინარული შეფასება მისცა: „ხიზილალა ამარცხებს პიცას".

**ჩემპიონატის** მონაწილეებს სხვადასხვა ფირმის ფორმები ეცვათ. „ადიდასი" ემსახურებოდა გფრ-ს, ჰოლანდიას, საბჭოთა კავშირსა და ირლანდიას, ფრანგული „ლე კოკ სპორტიფი" — ესპანელებს. დანარჩენი გუნდები საკუთარი ფირმების ნაწარმით თამაშობდნენ: დანია — „ჰუმელის", იტალია — „დიადორას" და ინგლისი — „უმბროს" ფორმებით.

**არგენტინელმა** მწვრთნელმა ლუის მენოტიმ განაცხადა: ჩემპიონატზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება ჰოლანდიელებმა დატოვეს. მომეწონა იტალიის გუნდი, რომელიც მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატის უეჭველი ფავორიტი იქნება. მასპინძლებმა უმაღლესი კლასის თამაში ვერ აჩვენეს — გუნდს აშკარად აკლია ფანტაზია. ბეკენბაუერი, ჩემის აზრით, ვერ უმკლავდება მწვრთნელის სპეციალობას. კარგი ფეხბურთელობა არ ნიშნავს იმას, რომ კარგი მწვრთნელი იყო, თორემ პელეს ვინ აჯობებდა. ფრანცი ახალგაზრდა მწვრთნელია, მაგრამ უპერსპექტივო".

**გადადგა** ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი მიგელ მუნიოსი. ამიერიდან ნაკრებში არ ითამაშებს ხოსე ანტონიო კამაჩო. მსოფლიო ჩემპიონატისათვის ესპანეთის ნაკრებს ლეგენდარული ლუის სუარესი მოამზადებს.

**დანიის** ნაკრების კაპიტანი მორტენ ოლსენი უახლოეს მომავალში თავს ანებებს თამაშს. მას კაპიტნის პოსტზე ან სიორენ ლერბი შეცვლის ან ივან ნილსენი — ასეთია ჟურნალისტთა აზრი.

**ირლანდიის** ნაკრების ნახევარმცველი რეი ჰოუტონი უცხოელ სპეციალისტებს მოეწონათ. ტურინის „იუვენტუსს" სურვილი აქვს, იგი „ლივერპულს" დანიელ ლაუდრუპში გაუცვალოს. ინგლისელებმა ამის საპასუხოდ ჰოუტონს კონტრაქტის ვადა ორი წლით გაუგრძელეს.

**ევროპის** ჩემპიონატში მარცხის შემდეგ ინგლისში სულ უფრო დაჟინებით მოითხოვენ მწვრთნელის — ბობი რობსონის გადადგომას. ყველაზე რეალურ კანდიდატად მის ადგილზე „ნოტინგემ ფორესტის" მწვრთნელს ბრაიან კლაფს ასახელებენ. მაგრამ საქმე ისაა, რომ რობსონი არსად აპირებს წასვლას და, უკვე მომავალ გეგმებზე ლაპარაკობს.

**(საქ. ინფ.).**

## საზაფხულო კონტრაქტები

**ზაფხული** ევროპის საფეხბურთო ცხოვრებაში კლუბიდან კლუბში და ქვეყნიდან ქვეყანაში გადასვლის ინტენსიური პერიოდია.

**შოტლანდიის** „გლაზგო რეინჯერსმა" საფრანგეთის „მონაკოს" თავდამსხმელს მარკ ჰეიტელს (იგი ინგლისელია) მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა.

**მიუნხენის** „ბაიერნში" გატარებული ექვსი წლის შემდეგ ბელგიელი მეკარე ჟან-მარი პფაფი პარიზის „რესინგში" გადადის. იმასაც ამბობენ, რომ უერდინგენის „ბაიერის" შვედი ნახევარმცველი რობერტ პრიტცი აღარ განაახლებს კლუბთან კონტრაქტს.

**„ჰამბურგი"** (გფრ) წლეულს სუსტად გამოვიდა როგორც ქვეყნის ჩემპიონატში, ისე თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. კლუბის ხელმძღვანელობა ამაში ადანაშაულებს ფელიქს მაგათს და მომავალ წელს მის ნაცვლად ერიხ რიბეკის (ლევერკუზენის „ბაიერი") მოწვევას აპირებს.

**ლუის მენოტი** (არგენტინა) თებერვლის შემდეგ მადრიდის „ატლეტიკოსთან" აღარ მუშაობს. ახლახან ცნობილი გახდა, რომ იგი არგენტინაში ბრუნდება და კვლავ „რივერ პლეიტს" ჩაუდგება სათავეში.



**იტალიის** „რომამ" სურვილი გამოთქვა თავისი გერმანელი ფორვარდი ფიოლერი არგენტინელ რამონ დიასში გაცვალოს, რომელიც ამჟამად „ფიორენტინას" ღირსებას იცავს. ფლორენციის გუნდის ხელმძღვანელები ჯერჯერობით ყოყმანობენ და ვერ გადაუწყვეტიათ მოაწერონ თუ არა ხელი შეთანხმებას.

**„ჩესკოსლოვენსკი სპორტის"** ცნობით საბერძნეთის „ოლიმპიაკოსს" სურს ალექსანდრე ზავაროვის შეძენა. თუ გარიგება მოხდა, ზავაროვი ამ კლუბის უცხოელ წევრად არ ჩაითვლება, ვინაიდან დედა მას ბერძენი ჰყავს.

**ჰოლანდიის** „ეინდჰოვენს" სურს ორი დანიელი მოთამაშის ჯესპერ ოლსენის (ამჟამად იგი „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშობს) და პრებენ ელკიაერის („ვერონა") შეძენა. თუ ეს საქმე გაიჩარხა, „ეინდჰოვენი" ფაქტიურად დანიის ეროვნული ნაკრების ფილიალი იქნება.

## ბრაზილიაში „ფუტევოლეის" თამაშობენ

**ამ საინტერესო თამაშმა, რომელსაც ჩვენს ქვეყანაშიც კარგად იცნობენ, ბოლო ხანებში დიდი გავრცელება ჰპოვა ბრაზილიაში. იქ მას „ფუტევოლეის" უწოდებენ.**

„ფუტევოლეი" ფეხბურთისა და ფრენბურთის თავისებურ ნაერთს წარმოადგენს, იგი მეტად დაძაბული, დინამიკური და აზარტულია. თამაში მიმდინარეობს ფრენბურთის მოედანზე, თითოეული გუნდის შემადგენლობაში 3 ან 4 სპორტსმენია, თამაში მიმდინარეობს ფრენბურთის წესებით, მაგრამ მოთამაშეებს უფლება აქვთ ბურთს შეეხონ არა მარტო ხელით, არამედ თავით, მკერდით, ფეხით. გუნდს უფლება აქვს საკუთარ ნახევარზე სამჯერ შეეხოს ბურთს, რის შემდეგ იგი მოპირდაპირე ნახევარზე უნდა გადაიყვანოს. ქულათა ანგარიში ისეთივეა, როგორც ფრენბურთში.

„ფუტევოლეის" გატაცებით თამაშობენ ბრაზილიის პლაჟებზე, სწორედ აქ გაიმართა პირველი ჩემპიონატიც. მასში მონაწილეობა მიიღეს უმთავრესად „ველურმა" გუნდებმა, მაგრამ როგორც ბრაზილიური გაზეთი „გლობო" აღნიშნავს, შესაძლოა შეიქმნას „ფუტევოლეის" კლუბები და შეჯიბრებებიც უფრო ორგანიზებულად, ჩამოყალიბებული ფორმით ჩატარდეს.

## დარჩა ფინალები

**ლონდონი.** უიმბლდონის ტურნირის ფინალში ქალთა შორის ერთმანეთს მსოფლიოს ორი უძლიერესი ჩოგბურთელი შეხვდება — შტეფი გრაფი (გფრ) და მარტინა ნავრატილოვა (აშშ). შეგახსენებთ, რომ ისინი შარშანაც გადამწყვეტ მატჩში თამაშობდნენ. მაშინ ნავრატილოვამ გაიმარჯვა.

ბრწყინვალედ გამოდის აქ ლარისა სავჩენკოსა და ნატალია ზვერევას წყვილი, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ შეიქმნა და პირველ ყოვლისა ოლიმპიური იმედებით ცხოვრობს. ნახევარფინალში წარმატების შემდეგ ფინალში ისინი შტეფი გრაფისა და გაბრიელა საბატინის (არგენტინა) ინტერნაციონალურ დუეტს შეხვდებიან.

ვაჟთა შეჯიბრების ფინალში გავიდა სტეფან ედბერგი (შვეცია). მეორე ფინალისტი ან ბორის ბეკერი (გფრ) ან ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) იქნება. ნახევარფინალურ შეხვედრაში, რომელიც კორტზე დაბინდების გამო გადაიდო, დაწინაურდა ბეკერი — 2:1.

### ელვა-ინფორმაცია

**დნეპროპეტროვსკი.** აქ მიმდინარე სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე, სადაც უფროსი ასაკის ჭაბუკი კალათბურთელები მონაწილეობენ, წარმატებით გამოდის საქართველოს გუნდი. შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურია დარჩენილი, მაგრამ ჩვენმა სპორტსმენებმა უკვე გაინაღდეს პირველი ადგილი.



## წარმატებას წარმატება მიემატა

**კალინინგრადში** გამართულ მფრინავ-კოსმონავტ რომანენკოს პრიზზე გამართულ მოზარდ ჩოგბურთელთა საკავშირო გათამაშების გამარჯვებულ, თბილისელი მოსწავლის ლევან გელაშვილის შესახებ უკვე ვიტყობინებოდით. იმავე ტურნირში წარმატებით გამოვიდა, აგრეთვე, მისი მეგობარი, თბილისის ოლიმპიური რეზერვის სკოლის წარმომადგენელი, 53-ე საშუალო სკოლის მეექვსეკლასელი გოგონა მაკა წიწუაშვილი (მწვრთნელი ბ. ბაზაზაშვილი), რომელსაც ბადალი არ ჰყავდა 1976-77 წლებში დაბადებულ თანატოლთა შორის და პირველი ადგილი დაისაკუთრა. შემდეგ კი ძალა სცადა უფროს ასაკში, სადაც სამი მეტოქე დაამარცხა და საბოლოოდ XIV ადგილს დასჯერდა. შემდეგ მაკა და ლევანი მინსკის სარბიელზე კიდევ ერთ თანატოლთა საკავშირო ტურნირში ჩაებნენ. იქ ლ. გელაშვილი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა, ხოლო მაკას მეხუთე ადგილი ერგო.

**სურათზე:** მაკა წიწუაშვილი.

## ჩემპიონი ამჯერად მხოლოდ მესამეა

**მხატვრულ** ტანმოვარჯიშე გოგონათა შორის საქართველოს პირველობის მონაწილეებს ბათუმის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის სპორტული კომპლექსი მასპინძლობდა. პირველობისათვის იბრძოდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და რუსთავის გუნდები, აგრეთვე კონკურსგარეშე მონაწილე ვლადივოსტოკის ტანმოვარჯიშეები, რომლებიც ბათუმში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან. შეჯიბრებისადმი ინტერესი დიდი იყო. ბათუმელები, რომლებსაც კარგად ახსოვთ რუსთაველი ოსტატის ოლგა ულერშპერგერის ჩინებული შედეგი სპორტული სკოლების აღსაზრდელთა საკავშირო სპარტაკიადაზე, ინტერესით ელოდნენ მის გამოსვლას. ოლგამ ამჯერადაც ურიგოდ არ იასპარეზა, მაგრამ მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა (54,2), პირველი მისი თანაქალაქელი ელადა კოზმოვა იყო (54,65), მეორე კი — თბილისელი ვერიკო ყიფიანი (54.3).

ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა თბილისელმა ბელა ქილიაევამ (54,1). საპრიზო ადგილებზე გავიდნენ თბილისელი ლანა სიდანოვა (52,95) და რუსთაველი ოქსანა როდიონოვა (52,65).

გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს თბილისელებმა, მეორე ადგილზეა რუსთავის კოლექტივი, მესამეზე აჭარელი ტანმოვარჯიშეები არიან.

განვლილი შეჯიბრება სერიოზული გამოცდა იყო ჩვენი ტანმოვარჯიშეებისთვის ჭაბუკთა II საკავშირო თამაშების წინ.

**ლევან ქავჟარაძე,**
**„ლელოს" კორ.**

## ოლიმპიური მოზაიკა

⊙ **ბრაზილიელი** მძლეოსანი ჟოაკინ კრუზი — 1984 წლის ოლიმპიური ჩემპიონი 800 მეტრზე რბენაში სეულში ორ დისტანციაზე იასპარეზებს. იმავე 800 მეტრსა და 1500 მეტრზე. თანაც ორივე სახეობაში ოქროს მედლის მოპოვებას აპირებს. ლოს-ანჯელესშიც ივივე გეგმა მქონდა, განაცხადა კრუზმა, მაგრამ ავადმყოფობამ შემიშალა ხელი და 1500 მეტრზე რბენა. ამის გამო ვერ დავამთავრე.

⊙ **ნაურუ** სულ პატარა კუნძულია ოკეანეში. 20 წუთი სწრაფი სიარული საკმარისია ამ კუნძულის შუაზე გადასაკვეთად. ნაურუს ჰყავს ერთადერთი სპორტსმენი, ნორჩი ძალოსანი სტეფენ მარკუსი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ასპარეზობდა. მარკუსს განზრახული აქვს მონაწილეობა მიიღოს ოლიმპიურ თამაშებშიც.

⊙ **ბულგარეთის** მოჭიდავეთა ოლიმპიური იმედები მჭიდროდ არის დაკავშირებული ვალენტინ იორდანოვთან — თავისუფალი სტილის ათლეტთა ნაკრები გუნდის კაპიტანთან. 28 წლის სპორტსმენი 52 კგ წონაში ასპარეზობს. იგი ექვსჯერ იყო ევროპის და სამჯერ მსოფლიო ჩემპიონი. სხვათა შორის, უცხოელი სპეციალისტები მას ოლიმპიური ოქროს მედლის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად თვლიან.

⊙ **რამდენიმე** თვის წინ 15 წლის კანადელი გოგონა ელისონ ჰიგსონი სეულში გამგზავრებაზე მხოლოდ ოცნებობდა. ახლა კი არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ იგი კანადის მოცურავეთა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იქნება. ამ დღეებში შესარჩევ შეჯიბრებაზე ჰიგსონმა 200 მეტრი ბრასით 2 წუთსა და 27,27 წამში გაცურა და მსოფლიოს რეკორდი, რომელიც ზილკე ჰერნერს (გდრ) ეკუთვნოდა, 0,13 წამით გააუმჯობესა.

⊙ — **მოხარული** ვარ, რომ მძლეოსანთა ოლიმპიური ტურნირი სეულში სექტემბრის მიწურულს დაიწყება. კიდევ ბევრი დრო მაქვს ვარჯიშისთვის, — განაცხადა მსოფლიოს უძლიერესმა სპრინტერმა კანადელმა ბენ ჯონსონმა ფინეთის საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში. წლეულს ჯონსონმა, როგორც ცნობილია, ტრავმა მიიღო და ახლა მას ინტენსიურად მკურნალობს; თანაც ჰელსინკში სარეკლამო ფილმის გადაღებაში მონაწილეობს. სეულში იგი მხოლოდ ორ დისტანციაზე გამოვა — 100 მეტრზე რბენასა და ესტაფეტაში 4X100 მ.

⊙ **როგორც** ცნობილია ჰაიკე დრექსლერმა (გდრ) ამას წინათ დაკარგა მსოფლიო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში. სამაგიეროდ ქვეყნის მძლეოსანთა შესარჩევ ტურნირზე 100 და 200 მეტრზე რბენაში სეზონის საუკეთესო შედეგები აჩვენა მსოფლიოში — შესაბამისად 10,92 და 21,99. ოლიმპიურ თამაშებში სამ სახეობაში გამოვალ, — განაცხადა მან, — და შევეცდები, რომ იქ დავიბრუნო მსოფლიო რეკორდი.

## მილიონები... წამებში

**პროფესიული კრივის სამყაროში**

ამ ბრძოლისათვის კარგახანს ემზადებოდნენ, როგორც მისი უშუალო მონაწილენი, ასევე გულშემატკივართა მთელი არმია. მატჩისადმი ინტერესს ისიც ზრდიდა, რომ აქ ასტრონომიული ოდენობის, ჯერ არგაგონილი ჰონორარი იყო დაწესებული, როგორც გამარჯვებულისათვის, ასევე დამარცხებულისათვის. აი, ასეთი სენსაციური ინტერესი გამოიწვია მძიმე წონის პროფესიონალი მოკრივეების — სამი საერთაშორისო პროფესიონალური კრივის ფედერაციების — ვბა-ს, ვბს-ისა და იბფ-ს მსოფლიო ჩემპიონს 22 წლის მაიკ ტაისონისა და 31 წლის მეტოქის მაიკლ სპინქსის შეხვედრამ, რომელიც 27 ივნისს ატლანტიკ-სიტის კაზინო „ტრამპ პლაზას" რინგზე გაიმართა.

მატჩი მრავალმხრივ სარეკორდო გამოდგა. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ტაისონმა სულ რაღაც 91 წამის განმავლობაში ნოკაუტში გაგზავნა პრეტენდენტი და 20 მილიონი ჩაიჯიბა, დამარცხებულმა კი 13,5, ორთაბრძოლის ტელეეკრანზე ნახვის მსურველებს 50-50 დოლარი უნდა გადაეხადათ, რადგან რეპორტაჟი საკაბელო ტელექსელით მიმდინარეობდა, ხოლო მატჩზე დამსწრებთ, თუნდაც მოუხერხებელი, გვერდითი ადგილისათვის—ორი ათასი დოლარი, ამიტომაც ვიდრე გონგის ხმა გაისმოდა, ორთაბრძოლის ორგანიზატორებმა რეკორდული მოგება — 70 მილიონი დოლარი მიიღეს.

ამ შეხვედრამდე მსოფლიო ჩემპიონმა პროფესიულ რინგზე გამართა 34 ბრძოლა, რომელთაგან 30 ნოკაუტით დაამთავრა.

როგორც კი დაიწყო ბრძოლა, ტაისონმა მეტოქე რინგის თოკებს მიაჯაჭვა და 30 წამის შემდეგ სპინქსი ნოკდაუნში აღმოჩნდა. მეშვიდე თვლაზე წამოდგა და აქვე დარტყმების მორიგი სერია იგემა, რომელიც ნოკაუტით დამთავრდა. როცა მაყურებლები „გონს მოეგნენ", ყველაფერი დამთავრებული იყო.

...ამ მატჩისათვის მოკრივეთა მზადება მთელ წელიწადს გაგრძელდა, მაყურებელთა განცდები კი წამიერი გამოდგა.

## თასი ალმაათელებმა მოიგეს

**ალმა-ათა.** ბოლო დროს კალათბურთელ ვაჟთა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება უინტერესო და ფორმალურ შეჯიბრებად იქცა. განსაჯეთ თავად — „ფინალში მონაწილეობის უფლება, სხვადასხვა მიზეზით, უმაღლესი ლიგის ვერც ერთმა წამყვანმა გუნდმა ვერ მოიპოვა. საპატიო ჯილდოსათვის ბრძოლას შემორჩა ორი ნაკლებად პოპულარული კლუბი— ალმა-ათის არმიელთა კოლექტივი და ვოროშილოვგრადის „სპარტაკი".

მეტოქეთა პირველი მატჩი, რომელიც ვოროშილოვგრადში ჩატარდა, სპარტაკელებმა მოიგეს 86:75. საპასუხო შეხვედრა ყაზახეთის დედაქალაქში არმიელთა სრული უპირატესობით აღინიშნა — 101:74. თასის მფლობელი მესამე დამატებითმა შეხვედრამ გამოავლინა, რომელიც ალმა-ათის კალათბურთელებმა მოიგეს — 93:87.

**„სპორტპროგნოზი": 28-ე ტირაჟის პროგრამა (9-10 ივლისი)**

| | | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 1. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (მინსკი) | 9.III | 50 | 30 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 2. „ფილი" (მოსკოვი) — „ზვეზდა" (ტაშკენტი) | 9.VII | 80 | 10 | 10 |
| 3. „ელექტრონმაში" (ლენინგრადი) — „ელმავალი" (თბილისი) | 9.VII | 20 | 10 | 70 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა, I ზონა)** | | | | | |
| 4. „დინამო" (ვოლგოგრადი) — „ზორკი" (კრასნოგორსკი) | 10.VII | 50 | 30 | 20 |
| 5. „კრასნაია პრესნია" (მოსკოვი) — „სატურნი" (ანდროპოვი) | 10.VII | 70 | 20 | 10 |
| 6. „ტორპედო" (რიაზანი) — „ტორპედო" (ვლადიმირი) | 10.VII | 20 | 60 | 20 |
| 7. „არსენალი" (ტულა) — „ფაკელი" (ვორონეჟი) | 10.VII | 10 | 10 | 80 |
| 8. „სპარტაკი" (კოსტრომა) — „ყარაბახი" (სტეპანაკერტი) | 10.VII | 70 | 20 | 10 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა, V ზონა)** | | | | | |
| 9. „სპარტაკი" (ორიოლი) — „ავანგარდი" (კურსკი) | 10.VII | 70 | 20 | 10 |
| 10. „ისკრა" (სმოლენსკი) — „ატლანტასი" (კლაიპედა) | 10.VII | 40 | 50 | 10 |
| 11. „დინამო" (ბრიანსკი) — „ბალტიკა" (კალინინგრადი) | 10.VII | 50 | 30 | 20 |
| 12. „დინამო" (ბრესტი) — „გომსელმაში" (გომელი) | 10.VII | 40 | 50 | 10 |
| 13. „სპორტი" (ტალინი) — „ზვეინიეკსი" (ლიეპაია) | 10.VII | 30 | 20 | 50 |

### კვირიდან კვირამდე

**„იზვესტია" — 28 ივნისი.** „ფეხბურთი ამოუცნობია. და მაინც, მადლობა ჩვენს ნაკრებს". ლაპარაკობენ ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის მონაწილე გუნდების მწვრთნელები.

**„ტრუდი" — 1 ივლისი.** „რატომ არა ვართ ჩემპიონები". ინტერვიუ ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულ საბჭოთა ფეხბურთელებთან.

**„სოვეტსკი სპორტი" — 30 ივნისი.** ბოლო დროს მთელ მსოფლიოში ძალზე გაიზარდა მეკლდეურობის პოპულარობა. წერილის, სადაც მკითხველებს ესაუბრება სსრ კავშირის ალპინიზმის ფედერაციის სპორტული მეკლდეურობის კომიტეტის თავმჯდომარე იური სკურლატოვი, სათაურია „კლდეზე... კალოშებით".

**1 ივლისი.** რუბრიკით „უგრიმო პორტრეტი" იბეჭდება წერილი „სიმართლე ალმეტოვის შესახებ".

**1 ივლისი.** „ავადმყოფობას ერთად ვუმკურნალოთ". გაზეთის სტუმარია საერთაშორისო ასოციაციის „სპორტი ძალადობის გარეშე" პრეზიდენტი ჟაკ ფერანი.

### „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" 26-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 26 ივნისს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან.** ტირაჟში დაშვებულია 1.375.658 ვარიანტი. ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო, 5 ნომრის გამოცნობისთვის (9) — მოგებაა 4.871 მანეთი, 4 ნომრის გამოცნობისთვის (865) — 71 მანეთი, 3 ნომრის გამოცნობისთვის (16.849) — 6 მანეთი.

**„სპორტლოტო" 5 36"-დან.** ტირაჟში დაშვებულია 15.050.015 ვარიანტი. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (41) მოგებაა 10.000 მანეთი, 4 ნომრის გამოცნობისთვის (6.932) — 99 მანეთი, 3 ნომრის გამოცნობისთვის (231.394) — 5 მანეთი.

### ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.**

**3 ივლისი.** რიტმული ტანვარჯიში— **9.00 (1);** „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.20 (1);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში (გადაცემა ხარკოვიდან) — **20.00 (2);** უიმბლდონის ტურნირი ჩოგბურთში — **21.00 (2)** და **1.05 (2).** საფეხბურთო მიმოხილვა—**0.25 (1).**

**4 ივლისი.** დილის ტანვარჯიში —**9.00 (2),** საფეხბურთო მიმოხილვა —**10.50 (1);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) — **19.25( 2);** კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი (გადაცემა ჰოლანდიიდან)— **22.50 (1).**

**საქართველოს ტელევიზია.**

**3 ივლისი.** საფეხბურთო მიმოხილვა — **0.25.**

**4 ივლისი.** კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი (გადაცემა ჰოლანდიიდან) — **22.50.**

**საქართველოს რადიო. 3 ივლისი.** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი" — **14.30.**

**4 ივლისი.** სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. I ლიგა — **22.00.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონი

3 ივლისი

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა, IX ზონა

„შევარდენი"-სპი (თბილისი)— „ხაზარი" (სუმგაითი).

დასაწყისი 19 საათზე.

მატჩის შემდეგ გათამაშდება საფეხბურთო სპორტული ლატარია.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10796